საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 705/01
01/02/2021

705-01-2-202102011353

შპს „პალიასტომი 2004“-ს
მის: ქ. ფოთი, მემედ აბაშიძის ქუჩა, N43

ელ. ფოსტა: paliastomi2004@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი სკოპინგის განცხადება (N20259; 23.12.2020), რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში თევზის გადამუშავების შედეგად საკვები პროდუქტების (ფქვილი და ზეთი) მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასაზუსტებელია/არ არის მოცემული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის განცხადებასა და ანგარიშში არ არის აღნიშნული ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” რომელი დანართით/პუნქტით არის გათვალისწინებული დაგეგმილი საქმიანობა. გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” II დანართის მე-7 პუნქტის 7.8 ქვეპუნქტის თანახმად, წელიწადში 5 000 ტონაზე მეტი თევზის გადამუშავება და ამავე დანართის მე-9 პუნქტის 9.1 ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ხობისწყლის წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 50 მეტრს კალაპოტის კიდიდან, შესაბამისად საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება მდინარის წყალდაცვით ზოლში. ვინაიდან წყალდაცვით ზოლში მოქმედებს გარკვეული სახის აკრძალვები შპს ,,პალიასტომი-2004”-მა უნდა უზრუნველყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და შეზღუდვების დაცვის შესახებ ინფორმაციის სკოპინგის ანგარიშში ასახვა. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია

დაგეგმილი შენობების დაშორება მდინარე ხობისწყლიდან, სკოპინგის ანგარიშში მითითებული უნდა იქნას შენობა/ნაგებობების დაშორება მდინარის კალაპოტის კიდიდან;

- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. დოკუმენტში საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ადგილის ალტერნატივა წარმოდგენილი არ არის, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი სახლებიდან დაშორება შეადგენს არანაკლებ 160 მ-ს, ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 50 მეტრში (ს/კ: 45.15.21.083), შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას უშუალოდ საკვები პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს და ნავსადგომის განთავსების GPS კოორდინატები და დაზუსტებული უნდა იქნას უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორება, როგორც საწარმოდან ასევე ნავმისადგომიდან;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად განლაგებულია ბოლვერკის ტიპის ნავსადგომი, ხანგრძლივი უმოქმედობის გამო იგი ნაწილობრივ დაფარულია ნატანით და ექვემდებარება რეაბილიტაციას და შესაბამის აღჭურვას, თევზის გადამზიდი გემების მისაღებად. თუმცა სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის რა ტიპის სამუშაოები იგეგმება ნავსადგომის (ნავმისადგომის) რეაბილიტაციის მიზნით, ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია რა მიზნით ხდებოდა არსებული ნავსადგომის გამოყენება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საკვები პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს პარამეტრები (შენობის ფართობი, სართულების რაოდენობა და სხვა);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე, მდინარე ხობისწყლის წყალდიდობის ან/და წყალმოვარდნებისაგან დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის ფარგლებში დაგეგმილი წყლის გამწმენდი სისტემების აღწერილობა და ტექნიკური მახასიათებლები; საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების (მათ შორის სანიაღვრე ჩამდინარე წყლების) მართვის საკითხები;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (საყოფაცხოვრებო, საწარმოო და ა.შ.) შესახებ ინფორმაცია და მათი მართვის საკითხები;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, გემების მომსახურება - ლიალური და ფეკალური წყლების მოხსნა და გატანა მოხდება სპეციალიზებული კომპანიების მიერ, სპეციალური ტრანსპორტის მეშვეობით, დაზუსტებას საჭიროებს რა შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი აღნიშნულ

ოპერაციას, რომელი კომპანიის მიერ მოხდება აღნიშნულის განხორციელება და სხვა;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ტერიტორიაზე მოხდება სამშენებლო ტექნიკის განთავსება და საწვავით გამართვა, დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ტექნიკის საწვავით გამართვის საკითხები, მოხდება თუ არა ტერიტორიაზე ავტოგასამართი სვეტის მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუ საწვავი შემოტანილი იქნება სპეციალური კონტეინერებით;
- ამასთან სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით, შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხები;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა დაგეგმილია ყოფილი სსრკ-ის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარსულში გამოიყენებოდა სამხედრო დანიშნულებით, სკოპინგის ანგარიშში აღწერილი უნდა იქნას ტერიტორიის უსაფრთხოების საკითხი. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია გათვალისწინებულია თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე საბრძოლო მასალისგან გაწმენდითი სამუშაოები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია განხორციელდა თუ არა ტერიტორიაზე რადიოაქტიური წყაროების შესაძლო არსებობის შემოწმება;

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „პალიასტომი-2004“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე